ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

# სოციალური და ეკოლოგიური ჟურნალი

№27
ივნისი

საქართველოს ვ. მოროშკინის სახელობის სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდისა და თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის გაზეთი 2010 წ.

ყველანი ერთად ახალი ძლიერი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

## გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს – 1 ივნისს!




ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით

№1 27.06.2008
20.12.2008
23.12.2008
01.06.2009
19.12.2009

**23.04.99 01.06.2000**
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში" სიმპოზიუმი №1 №2

**20.05.99 01.06.2000**
„ორთოპედიული სკოლა"
სიმპოზიუმი №1 №2

**17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003**
„მუკოვისციდოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები"

**01.06.2000–2001–2002–2003–2004 22.12.2007**
„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია"

**28.02.2001**
„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში"

**01.06.2001**
„ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა"
სიმპოზიუმი №1

**01.06.2001 30.05.2002 01.06.2003**
„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"
სიმპოზიუმი №1 №2 №3

**13.02.2002**
„ადამიანის გენომის პროექტი"

**10.03.2002**
ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის" პრეზენტაცია

**5.11.2002 28.11.2002**
ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ჟვანია"

**7.11.2002**
„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები"

**2.06.2008**
საქართველოს მედდათა I კონგრესი

**25.XII.98**
I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა"

**01.VI.99–9.IX.2005**
I-II საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია"

**25.XII.99**
III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა"
XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

**01.VI.2000 01.06.2001**
IV-V კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული" მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი

**27.III.2001**
შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა"

**30.05.2002**
VI(XX) კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"

**04.09.2002**
შეხვედრა „გლობალური მარშის" წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან

**01.06.2001 06-07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005**
VII-VIII-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები"

**30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002**
„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში"
სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9

**4.04.2003**
პედიატრიის აქტუალური საკითხები. IX კონფერენცია.

**1.06.2003–1.06.2004**
I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)

**19.12.2003**
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II კონფერენცია

**22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007;**
**2.06.2008; 20.12.2008; 1.06.2009**
პედიატრიის აქტუალური საკითხები. XII-XIII-XV-XVII-XVIII-XIX-XX საერთაშორისო კონფერენცია

**31.05–1.06.2007 – 7.12.2007–2.06.2008**
ბავშვთა კარდიოლოგთა III და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XVI კონფერენცია

## სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XXII და საქართველოს მედდათა II კონფერენცია

## თბილისი 1–2.06.2010 TBILISI

## THE SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FOUND XXII AND II GEORGIAN NURSES CONGRESSE

(თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მის. ვაჟა-ფშაველას №29)

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა

## XXI საუკუნის პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

# ა ქ ს ი ო ს !

ერთობ უჩვეულო მოვლენის მოწმე გახდა 2009 წლის 21 ივნისს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში სალოცავად მისული რამდენიმე ათასი კაცი, როცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 15 წლისთავის გამო ჯერ ლოცვა აღავლინა, შემდგომ კი ამბიონზე აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი დემურ ბაშელეიშვილი მიიწვია. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ამბიონზე საერო პირის მიწვევა ერთ-ერთი უპრეცედენტო შემთხვევაა.

ბატონი დემურ ბაშელეიშვილი ადის ამბიონზე, ემთხვევა პატრიარქს და დიდ მადლობას უძღვნის მიწვევისათვის, ამ საგულისგულო პატივის მიგებისათვის.

ლოცვის დაწყებისას უწმინდესმა ბრძანა:

**— საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია აღნიშნავს თავის იუბილეს — დაარსებიდან 15 წლისთავს. მისი პრეზიდენტი ბრძანდება ბატონი დემურ ბაშელეიშვილი. მე ვულოცავ მათ ამ დიდ თარიღს; ვლოცავ აკადემიას და მის პრეზიდენტს. აკადემიამ ბევრი სასიკეთო საქმე ქმნა საქართველოსთვის, ქართული მეცნიერებისა და ქართული ხელოვნების განვითარებისთვის. აკადემიის და მისი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მე არჩეული ვარ ამ აკადემიის საპატიო წევრად. დიდ მადლობას მოვახსენებ აკადემიის პრეზიდენტსა და აკადემიკოსებს ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის. იმედი მაქვს, ჩვენ კარგი თანამშრომლობა გვექნება.**



**საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გადავცემ წმინდა სპირიდონ სასწაულმოქმედის ხატს. აქსიოს!**

აღსანიშნავია, რომ ეს ხატი იმ დღეს ჩამოხსნეს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხევლიდან. საბერძნეთიდან ჩამობრძანებული ხატი, თავის დროზე, უწმინდესმა და უნეტარესმა, წმინდა სამების ტაძრის გახსნისას თავად დააბრძანა საკურთხეველში.

თავის მხრივ, აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა დემურ ბაშელეიშვილმა მადლიერების სიტყვებით მიმართა მის უწმინდესობას და ტაძარში შეკრებილ მრავალათასიან მრევლს ღვთის დიდი მადლისთვის და მისდამი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღებისთვის. კერძოდ, მან თქვა:

**— თქვენო უწმინდესობავ!**

**მაქვს პატივი და ღვთივბოძებული ბედნიერება, საქართველოს დედაეკლესიის მართლმადიდებელ მრევლს ვაცნობო: საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიამ თქვენ, ყოველთა ქართველთა სულიერი მამა, აგირჩიათ აკადემიის საპატიო წევრად.**

**თქვენი ნათელმოსილი სახელის განსხივება ჩვენს აკადემიაში ღვთის საიდუმლო განგებით მომადლებული წყალობაა, ვითარცა ძალა ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების, ქართული გენისა და ტრადიციების ძირისძირობამდე განფენისათვის მსოფლიოს კულტურათა მრავალფეროვან თანავარსკვლავედში. ვმადლოთ უფალს ღვთიური მადლისთვის.**

**თქვენო უწმინდესობავ, გარწმუნებთ თქვენი სხივნათლიერი სახელით გაგულოვნებული აკადემიის წევრები კიდევ მეტად გაირჯებიან საქართველოს განქარვებული იმედის ძალმოსილებისთვის, ეროვნული გონის ამაღლებისა და ყოველთა ქართველთა ერთობისათვის..**

**გფარავდეთ მეუფე ცისა და ქვეყნისა თქვენ და სრულიად საქართველოს! ამინ!**

**ივერია გაბრწყინდება!**

**კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!**

ბატონმა დემურ ბაშელეიშვილმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II გადასცა საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის დიპლომი.

დასასრულ მისმა უწმინდესობამ ილია II აკურთხა ტაძარში მყოფი აკადემიის წევრები.



**— ბატონო დემურ, თქვენ სამების საკათედრო ტაძარში მისი უწმინდესობისაგან მიიღეთ მაღალი და გამორჩეული ჯილდო, მოგეცათ საშუალება ამბიონიდან მიგემართათ იქ შეკრებილი ათასობით მართლმადიდებელი მრევლისათვის. რას განიცდიდით იმ ამაღელვებელ წუთებში?**

— უპირველესად, მე ვიყავი ამაყი ღვთივმომადლებული წყალობის გამო, რაც მისმა უწმინდესობამ ჩემდამი განსაკუთრებული პატივდებით გამოხატა. ჩემს შეხნიერებულ ცხოვრებაში მრავალი თვალგასახარი და ცადასული დღე მქონია, მაგრამ ეს დღე გამორჩევით სახელდაუდებელია ჩემთვის და სიხარულიც ენით უთქმელია. ამბიონიდან ვხედავდი ჩემზე შეფოფინებულ ათასობით მრევლს, მათ შორის ბევრ საჩინო კაცს და ჩემი სიტყვაც, ალბათ, ამიტომ იყო ნამეტნავად ემფატიკური.



მარცხნიდან: ლევან ჭაჭიაშვილი, დემურ ბაშელეიშვილი, თამაზ გამყრელიძე, მამა ადამი, და გიორგი ჩახუნაშვილი.

ტაძარში მყოფი ჩვენი აკადემიის წევრებიც არანაკლებ მადლმოფენილები იყვნენ, განსაკუთრებით, როცა ისინი უწმინდესმა და უნეტარესმა ლოცვით მოიხსენია. ვმადლობთ უფალს ღვთიური მადლისთვის.

**— თქვენს აკადემიას დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა; ვიცი, რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეთ ...**

— გულწრფელად გითხრათ, აბა რაღაა თხუთმეტი წელიწადი, მაგრამ ეს ის დროა, რომელიც გვაშორებს წარსულს და გვაახლოებს მომავალს. ეს ის თხუთმეტი წელიწადია, რომელიც ქმნის ისტორიას, ჩვენი აკადემიის ისტორიას. ეს ჩვენი ცხოვრების თანმიმდევრული აღრიცხვაა, ჩვენი ცხოვრების გულგასახარი ქორონიკონი.

ამ დროის განმავლობაში აკადემიის წევრად ღირსყოფილია 51 მეცნიერი და ხელოვანი, — ყველა მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. უფლის უდიდესი განგულვებით ჩვენს აკადემიაში გასხივოსნდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნათელმოსილი სახელი.

**— ბატონო დემურ, ცნობილია, რომ თქვენ წარმატებულად ხელმძღვანელობთ რამდენიმე სამეცნიერო და სახელოვნებო ორგანიზაციას ...**



— მოკლედ გიპასუხებთ: ჩემში განსხეულებული, ზოგჯერ, ჰეტეროგენული მრავალფეროვნება მეტად დამყუდროებულსა მხდის და მაძლიერებს, რომ თვალშეუდგამ სამყაროს უთრთოლველად ვუცქირო. ახლა კი, მისი უწმინდესობისგან ბოძებული ჯილდოს მადლი ღვთაებრივ ძალას გვმატებს ჩვენი გეზის ძალმოსილებისთვის და, როგორც რობერტ იუნგი იტყოდა — „მომავალი უკვე დადგა!..“

**ინტერვიუ ჩაწერა ჟურნალისტმა**
**ნანა ჭიჭინაძემ,**
**21 ივნისი, 2009 წ.**

2009 წლის 19 დეკემბერს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მიერ ჩატარდა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია "ბავშვთა უაფრთხოება პეცნიერების გზით" ("Children's security through science") და "სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა" ("SOCIAL PEDRIATRICS AND CHILD HEALTH").

12:00 – 14:00 ჩატარდა ევრო მეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა:

სხდომაზე შეჯამდა გასული ექვსი თვის ანგარიში, რომელიც მოიცავდა პერიოდს 1 ივნისიდან 18 დეკემბრამდე; ამ პერიოდში აღდგა ვებ გვერდი ეუსცი.გეო და გაზეთს "სოციალური და ეკოლოგიური პედიატრია"-ს დაედო სექციის ლოგო, ამასთან ერთად დაკმაყოფილდა იმ წევრთა განცხადებები, რომელთაც მოითხოვეს სექციის რიგების დატოვება. საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი სექციის წესდებაში ცვლილებების შეტანას და მის პერერეგისტრაციას.

გადაწყდა რომ:

ყველა დეპარტმანეტმა გააგრძელოს მუშაობა დეპარტამენტების თავმჯდომარეების ინდივიდუალური გეგმის მიხედვით;

საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნას მარტის თვეში;

გაგრძელდეს მუშაობა სათაო ოფისთან სტრასბურგში, რათა 2010 წელს საქართველოს ეროვნულმა სექციამ მონაწილეობა მიიღოს ევრომეცნიერების კონგრესში ტორინოში 2-7 აგვისტოს.











# სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XXI კონფერენცია

## ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით
## SOCIAL PEDIATRICS AND CHILD HEALTH
## სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
## SOCIAL PEDIATRICS AND SHILD HEALTH

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის თავმჯდომარე: პროფესორი გ. ჩახუნაშვილი. — 18.12.2009

კონფერენციის პირველი პლენარული სხდომა გახსნა პროფესორმა გ. ჩახუნაშვილმა.

კონფერენციის მუშაობა აკურთხა დეკანოზმა მამა ტარიელმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა:

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი — აკადემიკოსი პაატა კერვალისვილი;

საქართველოს პედიატრიული აკადემიის პრეზიდენტი — პროფესორი ირ. ციციშვილი;

თსსუ-ს სრულმა პროფესორმა — ყ. ფაღავამ;

საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი — აკადემიკოსი იგ. დოლიძე;

თბილისის საკრებულოს კონსულტანტი — ლ. კიკნაძე;

თსსუ-ს პროფესორი — მ. ჭიპაშვილი.

**მეორე პლენარული სხდომა:**

ლექციები და მოხსენებები

"მომავალი აბორტის გარეშე" – მ. არჩვაძე, კ. ჩახუნაშვილი.

"გულ-სისხლძარღვთა სისტემა და სპორტი – "აპივიტისა" და "ივერიული ფიტო"-ს სპორტული წვრთნის პროცესში ჩართვის აუცილებლობის შესახებ'- გ. ჩახუნაშვილი, იგ. დოლიძე, ნ. ჟობავა.

"ფიზიკური აქტივობა და ასაკში კვების პრობლემები" – დ. ზარნაძე, ი. ზარნაძე.

დიეტოლოგიის საკითხებისათვის ადრეული ასაკის ბავშვებში – ყ. ფაღავა.

? პრობლემები – ნ. ანდელაკი.

ბულოზური ეპიდერმოლოზის მართვის ოპტიმიზაცია ბავშვებში და ექსპერტული სისტემები – ი. კორინთელი, მ. კორინთელი, ტ. ისელიოვა, ყ. ფაღავა.

რეპროდუქციული ასაკის ქალებში პაპილობა ვირუსული ინფექციის შესახებ ცოდნის დონის შეფასება საქართველოში – მ. ბუწაშვილი, გ. კამკამიძე.

მწვავე აპენდიციტის თავისებურებანი ბავშვებში – მ. იორგობიანი.

ღია არტერიული სადინარის ენდოვასკულური კორექცია – ლ. კაპანაძე.

კრეონის როლი კისტოფიბროზის პათოგენეზურ მკურნალობაში – ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, მ. გიორგობიანი, ზ. შაქარაშვილი, მ. ჭულაია.

ჰემორაგიული სინდრომი ნეონატალურ პერიოდში – ა. კვეზერელი-კოპაძე, მ. კვეზერელი-კოპაძე.

ენცეფალოცელედა ართროგრიპოზის საკითხისათვის ბავშვთა ასაკში – თ. ღოღაძე, მ. ლეკიაშვილი.

ალინფოციტული აგამაგლობულინემიის შემთხვევისათვის – მ. ჩიქოვანი.

**მესამე პლენარული სხდომა**

კონფერენციის რეზოლუციის მიღება.

მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები.

**კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი**

Georgian National Section of EUROSCIENCE;

საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია;

Ინტერნატიონალ უნ ტჰე Წორლდ სეცურიტყ ანდ ცჰილდ;

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა;

გესტოზონების შვილობილი სამედიცინო დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OGASH);

სამედიცინო-სოციალური მეცნიერების ინტერკონტინენტალური აკადემია (IAMSS);

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია;

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია;

საქართველოს ექიმთა ასოციაცია;

საქართველოს პედიატრთა ასოციაცია;

თსსუ სტუდენტური თვითმმართველობა;

თსსუ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო;

საქართველოს ახალგაზრდა პედიატრთა ლიგა;

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრება "მოძრაობა აფხაზეთისათვის;

სრულიად საქართველოს ქალთა კონგრესი;

ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA TBILISI);

საქართველოს პედიატრთა აკადემია;

საქართველოს სამედიცინო სპეციალისტების ასოციაცია;

ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაცია;

საქართველოს ბავშვთა ქირურგთა ასოციაცია;

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი;

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი.

***კონფერენციის თანამდგომნი:***

საქართველოს საპატრიარქო;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

საქართველოს პარლამენტირ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი;

თბილისის მერიის შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და განათლები სამსახური;

საქართველო პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

კავშირი "სპორტის ჯანმრთელობისთვი, სპორტი დოპინგის გარეშე;

შპს GIC, შპს "ივერიული", შპს "NG".

**კონფერენციის ოქროს სპონსორი : "ავერსი"**













*საქართველოს მედდათა მე-2 კონფერენციის რეზოლუციის პროექტი*

*1) ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს შეიცვალოს სახელწოდება: „მედდა" – სახელწოდებით „ექთანი".*

*2) საქართველოში ექთანთა გადამზადების პროგრამის შექმნა და განხორციელება, მასზე კონტროლით დაევალოთ შემდეგ სპეციალისტებს:*

*ჩახუნაშვილი გიორგი - პროფესორი*

*თოფურიძე ნელი – მედიცინის დოქტორი*

*ბადრიაშვილი ნელი – მედიცინის დოქტორი*

*ჭაჭია გრიგოლი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი*

*მიქაბერიძე მარინა – გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ფიზიოთერაპიული განყოფილების გამგე*

*ყაველაშვილი ნანი – სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მედდათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის მთავარი ექთანი.*

*გარსევანიშვილი ქეთევანი – საქართველოს ექთანთა ასოციაციის პრეზიდენტი, აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის მთავარი ექთანი*

*ი. დოლიძე - პროფესორი*

*3) ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის მედიცინისა და სპორტის დეპარტამენტს, ბათუმის 2010 წლის მსოფლიო კონგრესზე მიღებული მედიცინისა და სპორტის მეცნიერული მართვის კონცეფციის ფარგლებში, დაევალოს პროგრამათა შექმნაზე და მათ განხორციელებაზე კონტროლი.*

# მიღებულია "მედიცინის და სპორტის მეცნიერული მართვის კონცეფცია."

## გახსნა













7-8-9 მაისს ბათუმში ჩატარდა მსოფლიო კონგრესი, 2010 სადაც ორასამდე მოხსენება და ლექცია წაიკითხა 50-ზე მეტმა უცხოელმა ცნობილმა მეცნიერმა 41 სექციაში კონგრესზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო "მედიცინის და სპორტის მეცნიერული მართვის კონცეფციის განხილვა და მისი მიღება." მთავარია იგი დროულად განხორციელდეს.

Government of the Autonomous Republic of Adjara

Shota Rustaveli State University in Batumi

International Foundation for Sustainable Development

Euro Mediterranean Academy of Arts and Sciences

Intercultural Euro Mediterranean Center for UNESCO




Second Circular

*May 7 – 9, Batumi, Georgia*

## სექციები











## დახურვა







## 9 მაისი - ევროპის დღე




















## Batumi- 2010

- Session of the Euroscience Georgian
  ………. National Section ……….
  Section
  "Science for Children and Youth Security"
  (Medicine and Sports)


Your Voice on Research in Europe

Prof. Dr. Med. George Chakhunashvili
Republic of Georgia

## Prof. G. Chakhunashvili

Course of Euroscience Georgian National Section – "Science for Children and Youth Security" (Medicine and Sports) .

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის კურსი
(ბავშვთა და მოზარდთა უსაფრთხოება მეცნიერული გზით)
მედიცინა და სპორტი
სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
მედ. მეც. დოქტორი, პროფესორი გ. ჩახუნაშვილი

. მედიცინისა და სპორტის მეცნიერული მართვის
. ეროვნული კონცეფცია
. /ჯანმრთელ თაობებზე ზრუნვა/ჯ.თ.ზ

*May 7 – 9, Batumi, Georgia*

Government of the Autonomous Republic of Adjara

Euro Mediterranean Academy of Arts and Sciences

International Foundation for Sustainable Development

Shota Rustaveli State University in Batumi

Intercultural Euro Mediterranean Center for UNESCO

## RESOLUTION

- კონცეფცია შეიმუშავა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა 2009 წელს და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა ცექციამ დაამტკიცა იგი **Batumi – Spring – 2010** საერთაშორისო კონგრესზე,რომელიც ორგანიზებული იყო **7- 9 მაისს,2010წ. Government of the Autonomous Republicof Adjara; Shota Rustaveli State University in Batumi; International Foundation for Sustainable Development; Euro MediterraneanAcademy of Arts and Sciences, and Intercultural Euro Mediterranean Center for UNESCO-ს** ორგანიზაციების მიერ, სექციაზე ***"Science for Children and Yout Security" ( Medicine and Sports)***

## RESOLUTION

- დაევალა **ES GNS-**ის მედიცინისა და სპორტის დეპარტამენტს მისი მოქმედების ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადოს -

  მედიცინისა და სპორტის მეცნიერული მართვის
  . ეროვნული კონცეფცია-
  /ჯანმრთელ თაობებზე ზრუნვა/-"ჯ.თ.ზ."- და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად კონცეფციის შემადგენელი პროგრამების შესრულებაზე ზრუნვა.

## RESOLUTION

- ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს,ჯანმრთელობის დაცვის,სპორტის,განათლებისა და მეცნიერების,ეკონომიკის სამინისტროებს,უშუალოდ კი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, განახორციელონ სწრაფი რეაგირებანი, რათა დროულად უზრუნველყოფილი იქნეს საორგანიზაციო ერთეული-"საქართველოს სპორტის მეცნიერებათა ეროვნული ფედერაციის"სახით.

## Resolution

- Parliament of Georgia, Ministries of Health, Sports, Education and Science, Economy and Department of Youth and Sports affairs of Georgia must be asked to make a fast response by creating organization unit " Georgian National Federation of Sports Sciences".

**სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს.**











საქველმოქმედო აქცია მარნეულში 19.II.2005 წ – 10.V.2008 წ





საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005წ





2006 წლის 20 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლის ქალბატონ ოლიკო ბეჟუაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის ლიკა დოლიძის ხელშეწყობით თსსუ გ. ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში გაისინჯა და შესაბამისი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები ჩაუტარდა საგურამოს ასთმით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს. 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ. ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ღია კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.










2006 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის მიერ ცხინვალის რეგიონში ორგანიზებულ აქციაში თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ექიმების მიერ (კლინიკის დირექტორი დოც. დ. ფრუიძე, პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. გ. ჩახუნაშვილი, ექიმები: მ. იოსელიანი, თ. მიქელაძე, ვ. მალაშხია, მ. ნანობაშვილი, ზ. ზარნაძე, ქ. ნეფარიძე, გ. არველაძე) გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია 500-მდე ბავშვს. 2006-2007 წლებში თსსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში გაისინჯა 2000-მდე ბავშვი.





საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007






საქველმოქმედო აქცია რუსთავსა და სამტრედიაში





საქველმოქმედო აქციები მარნეულში, დუშეთში და ახაშენში






თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.




## საქველმოქმედო აქცია ქაქუცობა 2008










## საქველმოქმედო აქცია ხაშურში 2009









## საქველმოქმედო აქცია ბარისახო 2009















# ქართული პედიატრიის განვლილი გზის ორი ღირსშესანიშნავი თარიღი



მიმდინარე წლის 7-8 მაისს სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” ჩატარდა საქართველოს პედიატრთა ასოციაციის 80 წლის და ი. ფაღავას სახ. პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია – “მტკიცებითი პედიატრია მომავლის პერსპექტივა”. კონფერენციის საზეიმო გახსნის დღეს მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი ოთარ თოიძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ჯაფოშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ვადაჭკორია, ივანე ჯავახიშვილის საელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა, საქართველოს ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი გია ლობჟანიძე და სხვები.

შეკრებილ აუდიტორიას სიტყვით მიმართა საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტმა პროფესორმა ავთანდილ კვეზერელი-კოპაძემ რომელმაც აღნიშნა: “ჩემს თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, რომ ვესწრები საქართველოს პედიატრთა ასოციაციისა და პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივ იუბილეს. ეს ორივე ორგანიზაცია ჩემთვის განუყრელი სიახლოვით ხასიათდება. ჯერ კიდევ 1957 წელს, როდესაც აფხაზეთის მთავარ პედიატრად ვმუშაობდი, იმავე დროს ამ ავტონომიური რესპუბლიკის პედიატრთა საზოგადოების თავმჯდომარეც ვიყავი, ამიტომ მუდმვად მჭიდრო კავშირი მქონდა საქართველოს ძირითად პედიატრთა საზოგადოების გამგეობასთან და მუდმივად ვასრულებდი მათ დავალებებს. მეორეს მხრივ 50 წელია რაც უწყვეტლივ ვმუშაობ პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ასეთი დიდი სიახლოვე ამ ორ ორგანიზაციასთან, უფლებას მაძლევს ღრმად შევაფასო მათი წარსულის აწმყოსა და მომავლის საქმიანობა.

მეტად რთული ისტორიული გზა განვლო პედიატრთა ასოციაციამ დაარსებიდან დღემდე. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის 30-იანი წლები, როდესაც პირველად ჩამოყალიბდა ეს საზოგადოება და მისი თავმჯდომარე გახლდათ ცნობილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე მარიამ უგრელიძე. შემდეგი 40 წლიანი პერიოდი მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლი, ოთხმოცდაათიანი წლების საქართველო და მისი გაუთავებელი კატაკლიზმები, ბოლოს დღევანდელი რთული რეფორმები საქართველოში.

ყველა ეს ეპოქალური ძვრები გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა პედიატრიული საზოგადოების ნორმალურ საქმიანობაზე. საჭირო იყო დდი ძალისხმევა რომ შენარჩუნებულიყო მისი არსებობა. მაგრამ იყვნენ დიდი ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში სათავეში ედგნენ ამ საზოგადოებას, და სწორედ მათი ძალსხმევით შევინარჩუნეთ იგი. ესენი იყვნენ: მ. უგრელიძე, მ. ბოკერია, ირაკლი ფაღავა, იოსებ კვაჭაძე, ფელიციტა შოთაძე, ნოდარ ხერხეულიძე და სხვები. მომავალში საქართველოს პედიატრიულმა საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა მთლიანად პედიატრიული აზროვნების განვითარების საქმეში თუნდაც ის რად ღირს რომ ამ საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით გაიხსნა პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ძირითადი მიზანი იყო ბავშვთა სიკვდილობის შემცირება, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო საქარტთველოში. ჩვენი ინსტიტუტი მეოთხე სამეცნიერო დაწესებულება იყო მოსკოვის და ლენინგრადის შემდეგ,იგი დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა კავშირის მასშტაბით. მისი პირველი დირექტორი იყო ბრწყინვალე პიროვნება, მეცნიერი, მაღალი რანგის კლინიცისტი, დიდი ორგანზატორი პიმენ ყურაშვილი. მიზანმიმართულად და დროულად ჩამოყალიბებულმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა ცენტრმა შემდეგში დიდი როლი შეასრულა საქართველოში პედიატრიული ქსელის განვითარების საქმეში. ამ დიდ ღონისძიებას მუდმივად მხარს უჭერდა და ხელს უწყოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ელიტარული პროფესურაც.



საქართველოს პედიატრთა საზოგადოება, რომელიც ბოლო წლებში გადაკეთდა ასოციციად, ყოველთვის მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან. როგორც მეცნერული ისე პრაქტიკული და მეთოდოლოგიური საქმიანობის წარმართვის მხრივ. ინსტიტუტი ყოველთვის გვევლინებოდა ასოციაციის ღონისძიებების გატარების ინიციატორად. ასეთი სიმბიოზი თავისებურ ახლებურ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს და შეუძლია დიდი როლი ითამაშოს პედიატრიის განვითარების საქმეში, აქედან გამომდინარე სრულიად მართებულად მიმაჩნია რომ ამ ორ იუბილეს ერთდროულად აღვნიშნავთ. ვიმედოვნებ რომ ის დიდი პრაქტიკული და მეცნიერული პოტენციალი რომელიც ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს ასოციაციას და ინსტიტუტს ახლო მომავალში გათვალისწინებული იქნება საქართველოს პედიატრიის მძიმე რეფორმების ჩატარების საქმეში. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ასოციაცია და პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი იმისთვისაა რომ კადრების კონსოლიდაცია და მეტი ერთსულოვნება მოხერხდეს. პედიატრიის პრაქტიკულ და სამეცნიერო სფეროში მოღვაწე ექიმების დაქსაქსულობა არ შეიძლება, რადგანაც საქმე ეხება დემოგრაფიულად ერთობ დამძიმებული ქვეყნის მომავალს.”

კონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს პედიატრთა ასოციაციის და პედიატრიის ინსტიტუტის მიერ განვლილი სახელოვანი გზა. მოეწყო ფილმის პრეზენტაცია “ქართული პედიატრიის მატიანე” რომელშიც ნათლად ჩანს ქართველ პედიატრთა უანგარო მოღვაწეობა. ეს ფილმი არის გზავნილი მომავალი პედიატრებისთვის, რომ არ დაივიწყონ წარსული, რადგან იგი მომავლის საწინდარია.

***ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე***
***საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი.***

## ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე - 85

# 85 მხოლოდ შუადღე ყოფილა

60 წლის განმავლობაში მისკენ მიმავალ გზაზე პაციენტთა ნაკადი არ შეცჩერებულა. მშობლები ყველაზე სანუკვარ, შვილების სიცოცხლეს ანდობენ. სჯერათ და სწამთ მის მიერ დასმული დიაგნოზის მკურნალობის და რჩევის. დედა რომელსაც შვილი ჩვილობის ასაკიდან დაჰყავს ხშირად ამბობს “მან გადამრჩინა, მისი გაზრდილია ჩემი შვილი”.

მაშ თუ 60 წლის მანძილზე უამრავი ჩვლი და მოზარდი განკურნა, იხსნა ისინი დაღუპვისგან უნდა ითქვას რომ ქვეყნის წინაშე ვალი კეთილსინდისიერად მოუხდია.

მაგრამ ნდობის მოპოვებამდე და აღიარებამდე იყო ბეჯითი სწავლა, დაუღალავი შრომა, რაც მთავარია, ქართული ტრადიციული ოჯახიდან გამოყოლილი კეთილშობილება და ქრისტიანული ცხოვრების წესი. საქრთველოში ცნობილ პედიატრზე, ამჟამად იუბილარ ბატონ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეზე მოგახსენებთ. 1 აპრილს მას 85 წელი შეუსრულდა. მაგრამ ასაკს პირადობის მოწმობაში თუ ამოიკითხავთ, თორემ მისი მხნეობა, შრომისმოყვარეობა სიცოცხლის ხალისი და სიყვარული ბევრ ახალგაზრდას შეშურდება. თუ ამას დავამატებთ როგორ მართავს მანქანას, რა მოხდენილად იცეკვა შვილიშვილების ქორწილში ბაღდადური და ვალსი უნდა ვირწმუნოთ რომ ადამიანისათვის 85 წელი მხოლოდ შუდღე ყოფილა.

ამას გვიდასტურებენ ბატანი ავთანდილის მეგობრები: “ მისთვის არ რასებობს საქმის გადადება, სამსახურის გაცდენა, უგულოდ არასდროს მოკიდებია სამუშაოს...” არ მახსოვს შეცდომა დაეშვას დიაგნოზის დასმისას” (ქეთევან ანჯაფარიძე)

50 წელზე მეტია ვმეგობრობთ და ეს გძნობა არ განელებულა, ის არაჩვეულებრივი პიროვნებაა. უკეთილშობილესი გულითადი მოყვასია, ძალზე უშუალო, ყველანაირად ცდილობს წაქცეულს დაეხმაროს, მთელ საძმაკაცოში



გაჭირვების ტალკვესია, იცის როდის და როგორ ამოგიდგეს მხარში... ძველი სპორტსმენია, ძველი კალათბურთელია და დღემდე საოცარი სპორტული ჟინი აქვს. ცნობილია მისი ჭადრაკისადმი სიყვარული, აუცილებლად უნდა მოგიგოს, თუ ვერ ახერხებს ცხარდება, თუ მოგიგო ბავშვივით უხარია... ვაჟკაცია, უკან არაფერზე დაიხევს, მოქეიფეც არის, რაც მთავარია უშიშარია... გვყავს ერთი უცოლშვილო მეგობარი, არასდროს ავიწყდება მისი დაბადების დღე 29 დეკემბერი. თავად არის წვეულების ორგანიზატორი, ვგეგმავთ, ვემზადებით სად ავღნიშნოთ, ასე გრძელდება წლების განმავლობაში... (მინდია სალუქვაძე).

ხშირად ადამიანები ორსახოვანნი არიან, თუ პროფესიაში დიდ წარმატებას აღწევენ, ადამიანურად ბევრს ვერაფერს მატებენ თავის ღირსებას. ბატონი ავთანდილი იმ ბედნიერ ადამიანთა შორის ბრძანდება, რომელთაც ჰარმონიულად აქვთ შერწყმული პროფესიონალიზმი და ადამიანური ღირსებები, რითაც გარშემომყოფთ ცხოვრებას ულამაზებენ და უადვილებენ. ბატონი ავთანდილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სოხუმში, პროფესიის სრულყოფის მიზნით კლინიკურ ორდინატურაში აგრძელებს სწავლას მოსკოვის საკავშირო სამედიცინო აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტში. ამას მოჰყვება საკანდიდატო და სადოქტორო დისეტაციების დაცვა.. სამსახური სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი როგორც პედაგოგისა, თბილისის სხვადასხვა სამედიცინო ინსტიტუტსა და უნივერსტეტში.მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 160 ნაშრომი და 4 მონოგრაფია. 1996 წელს კონკურსით არჩეულია პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჰემატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც დღემდე მოღვაწეობს. 1999 წელს არჩეულია საქართველოს მედიკო-სოციალური აკადემიის ნამდვილ წევრად და ვიცე-პრეზიდენტად, 2001 წელს კი მედიკობიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად. 2003 წელს აირჩიეს საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტად, რედაქტორობს ჟურნალ ''საქართველოს პედიატრიას”. ეს მხოლოდ მოკლე ანოტაციაა მისი საქმიანობისა.

მაღალი პროფესიონაიზმით, საკუთარი თავისადმი და ხვებისადმი მომთხოვნელობით, დაუღალავი შრომით, სადაც კი მოღვაწეობს ყველგან მნიშვნელოვან კვალს ავლებს.

ადამიანისთვის, როგორ წარმატებასაც არ უნდა აღწევდეს, ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის შექმნაა და ბატონმა ავთანდილმა თავისი ცხოვრების ეს მხარეც შესანიშნავად ააწყო. შექმნა სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი, მეუღლე ელენე მანჯგალაძე ექიმი-პედიატრია, მუშაობს ბავშვთ რეაბილიტაციის ცენტრში, ჰყავს ორი ღირსეული ქალიშვილი: მარინა კვეზერელი-კოპაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული დეპარტამენტის დოცენტი, მაია კვეზერელი-კოპაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ამავე დროს ხელმძღვანელობს საქველმოქმედო ასოციაციას რომელიც წლების მანძილზე ემარება სოციალურად დაუცველ თანამემამულეებს.

ჩვენი ასოციაციის დამოკიდებულება ბატონი ავთანდილისადმი განსაკუთრებულია, ამიტომ მილოცვა და მადლობაც განსაკუთრებულად გვამართებს, რადგან თითქმის 15 წელია უანგაროდ მონაწილეობს ასოციაციის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო სამედიცინო აქციებში. აქციების დროს მისი კაბინეტის კართან ყოველთვის დიდი რიგი დგას, ბავშვს თუნდაც არაფერი სტკიოდეს, მაინც ეშურებიან შვილი ცნობილ პედიატრს გაასინჯონ..

ბატონი ავთანდილის და მისი შვილების ქველმოქმედება არც უნდა გაგვიკვირდეს, მის პაპა-ბებიას დიდ თანხა შეუწირავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის ფონდში. და საერთოდაც როგორც ქრისტიანები ყოველთვის იყვნენ მოყვასის დამხმარენი.

ბატონო ავთნდილ, გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას გისურვებთ, შთამომავლობის გამრავლებას. პატარა ლუკას, ვახტანგის, გიორგის და ელენეს ქორწილებში კვლავ მოხდენილად გეცეკვოთ ბაღდადური.

# ვიქტორ მოროშკინი 65 წლის იქნებოდა



ვიქტორ მოროშკინთან ჩემი ნაცნობობა მისი მეუღლის,მანანა ჭიპაშვილის საშუალებით დაიწყო და მალე ძალიან საინტერესო მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა.

მიმაჩნია, რომ ვიქტორი – ცნობილი გენეტიკოსი, პროგრესული, ნიჭიერი, იუმორით სავსე ადამიანი და შესანიშნავი ოჯახის შემქმნელი დიდ სიყვარულს, პატივისცემას და არდავიწყებას იმსახურებს.

იმ წვლილის აღსანიშნავად, რაც მას მიუძღვის საქართველოში გენეტიკის განვითარების და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი ვიქტორ მოროშკინის დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აწყობს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

*ელენე აბზიანიძე*
***თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი***



მისმა სიკვდილმა ყველას გული დაგვწყვიტა, იმიტომ რომ მართლა ყველასაგან გამოირჩეოდა. იყო ძალიან ხალასი ნიჭის პატრონი და სხვისი მოსმენაც შეეძლო. ყოველთვის ჰქონდა საინტერესო იდეები და შეიძლება ითქვას, რომ დროს წინ უსწრებდა, მიუხედავად ამისა, არასოდეს ყოფილა ამპარტავანი და შურიანი, პირიქით ყველას მიმართ ზედმეტად თავდადებული იყო და დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვა "ზედმეტად" მას ნამდვილად არ მოეწონებოდა, რამეთუ სხვანაირად არ შეეძლო. ასეთივე დიდი სიყვარული ჰქონდა ვიქტორს თავისი ქვეყნის მიმართ და ზომიერების გრძნობა ამ მიმართულებითაც არასდროს ღალატობდა. არც ისაა გასაოცარი, რომ სიკვდილის შემდეგ მისი უნიკალობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, ხოლო მისი იდეები, რომლების მართლაც რომ შესაშური წინდახედულობით გამოირჩეოდა, დღესაც ცოცხლობს და ემსახურება ქართული სამედიცინო გენეტიკის განვითარების საქმეს.

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, კაცი, რომელიც დააკლდა ქვეყანას და კაცი, რომელიც დააკლდა მეცნიერებას – მე დღეს ნამდვილად არ მეხამუშება ამ სიტყვების წარმოთქმა, რამეთუ იგი ამ სიტყვებს ნამდვილად იმსახურებს.

*დათო ცხომელიძე*
***მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***



ვიქტორ ბორისის – ძე მოროშკინს წელს, 1 იანვარს შეუსრულდებოდა დაბადებიდან 65 წელი. ეს უკვე 7 წელია აღარ არის ჩვენთან. მისი ბიოგრაფიული მონაცემები და ღვაწლი პედიატრიასა და სამედიცინო გენეტიკაში ცნობილია. მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ დარგების განვითარებაში, რისთვისაც საერთაშორისო ინტერკონტინენტალურმა აკადემიამ 2 წლის წინ მიანიჭა აკადემიკოსის წოდება და მისი ნეკროლოგი მოათავსა აკადემიის ვებ გვერდზე ცნობილ გენეტიკოსებითან ერთად.

ის ბედნიერი კაცი იყო არა მარტო იმიტომ, რომ მისი ღვაწლი სიკვდილის შემდეგაც დაფასდა, არამედ იმიტომაც, რომ მას სიცოცხლეშის არ აკლდა საზოგადოების სიყვარული და დაფასება.

მის მეგობრებს, მოწაფეებს, კოლეგებს ის დღესაც ახსოვთ. მის საფლავზე სულ დევს ვიღაცის მიტანილი ყვავილები. მის დაბადების დღეს – 1 იანვარს – არ ივიწყებენ. დღემდე ამ დღეს მერაბ კუპრავა და გოგი გოგიაშვილი მისი ოჯახის მეკვლეები არიან. ზურაბ ჩიქოვანს და ზაურ ფხალაძეს მისი სურათი სამსახურში კედელზე უკიდიათ. ბატონ ზურაბს კი – სახლშიც, გარდაცვლილ ნათესავებთან ერთად.

გოგი ჩახუნაშვილი ღირსეულად აგრძელებს იმ საქმეს, რომელიც თავის დროზე ერთად დაიწყეს. სოციალური პედიატრიის ფონდის არც ერთი კონფერენცია არ იწყება მისი სახელის გახსენების გარეშე. მარტო ის რად ღირს გასახსენებლად, რა წერილები დაიბეჭდა მისი გარდაცვალების დროს და გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. ერთერთი წერილის სათაური იყო "კაცი, რომელიც დააკლდა თბილისს" (ინგა მამუჩაშვილი). ის ხომ მართლაც ნამდვილი თბილისელი იყო. მას გენეტიკის სფეროში სამუშაოდ ბევრ ქვეყნანაში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან არც ერთი შემოთავაზება არ მიიღო. ამბობდა: "მე თბილისელი ვარ და არსედ სხვაგან ცხოვრება არ შემიძლია".

როგორც ერთხელ ყარამან ფაღავამ ბრძანა: "მან რამოდენიმე ცხოვრებით იცხოვრა – იყო პრაქტიკოსი ექიმი-პედიატრი, იყო ცნობილი პედაგოგი, სამედიცინო გენეტიკის და სოციალური პედიატრიის ერთერთი ფუმძემდებელი, და ყველგან წარმატებული იყო".

ის ზალიან იხარჯებოდა. სულ რაღაცის ძიებაში იყო. ყველას გულისტკივილს იზიარებდა. ცდილობდა ყველას დახმარებოდა მაშინაც კი, როდესაც თვითონ ამისათვის საშუალება არ ჰგონდა. ის ადრე წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა ბევრი კარგი მოგონება. მისი გვარის და წარმომავლობის მიუხედავათ, ის თავს ქართველად თვლიდა და ვინც მას იცნობდა ეს ნამდვილად ასე იყო. ის ჭეშმარიტი თბილისელი და ქართველი იყო. ის იყო კაცი, რომლსაც ყველა უყვარდა...

*მანანა ჭიპაშვილი*
***მედიცინის მეცნიერებათა აკად. დოქტორი, პროფესორი***



მოროშკინები... რომელი უკეთესია, რომელი უფრო ძვირფასია როგორც ადამიანი, უფრო განათლებული, უფრო წარმატებული – მანანა, ნინო, სოფო თუ ლალი?

ყველას ერთი საწყისი აქვთ – ვიქტორ მოროშკინი. ამ დიდი (თავისი შინაარსით) ოჯახის მეთაური დღესაც ვიქტორია.

ქ-ნი მანანა სამედიცინო გენეტიკის სპეციალისტი, დიდ აკადემიური ცოდნის, სტუდენტებისთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანია.

ლალი მოროშკინას არ სჭირდება ჩემი წარდგენა. ნინო და სოფო ვიქტორის საამაყო შვილები საქართველოსაც, სამედიცინო უნივერსიტეტსაც, მეც მეამაყება.

მეტი რა სიმდიდრე უნდა დარჩენოდა ვიქტორს. როცა ჩვენ გვხვდებოდა, სიხარულით შემოგვძახებდა ხოლმე – "თქვენ რომ გხედავთ სიცოცხლე მიხარია"-ო. შენი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც ძალიან დაფასებულია, ვიქტორ! შენმა საამაყო ოჯახმა უკვდავება მოგანიჭა.

*ეკა მჭედლიშვილი*
***მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***



ჩვენი გაცნობის პირველივე დღეებში აღმოვჩნდი მისი უშუალობისა და მეგობრული დამოკიდებულების ტყვეობაში. მასთან ყველა შეხვედრა სასიამოვნო მოგონებად დამრჩა, იგი განათლებული ადამიანი იყო და ყოველთვის საინტერესო თემებზე საუბრობდა; ამასთან ყველაფერს მისთვის დამახასიათებელი იუმორით გადმოცემდა და მის ირგვლივ სასიამოვნო გარემოს ქმნიდა.

ვიქტორი ზედმიწევნით საქმიანი და ოპტიმისტი ადამიანი იყო და ოჯახიც ასეთივე შექმნა, რომლის ყველა წევრს დიდ პატივს ვცემ.

ძლიერ დასანანია, რომ დღეს ვიქტორ მოროშკინი ჩვენს გვერდით აღარ არის. მისი მომღიმარე სახე ყოველთვის იქნება ჩვენთან ერთად.

*ვ.ბერიშვილი*
***თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი***





# მადლობა უფალს, რომ არსებობდი!

## (დავით ლეონიძის გახსენება)

დიდი ადამიანები მოდიან, მაგრამ არ მიდიანო!-ამბობენ.

სამწუხაროდ, დავით ლეონიძე მაინც წავიდა. წავიდა იქ, სადაც ჩვენს დიდ წინაპრებს დაუმკვიდრებიათ სამუდამო განსასვენებელი.

ერთი წელი გასულა უკვე. ისევ მოვიდა მაისი, ისევ აყვავდა ბუნება, მაგრამ ერთი ქართველით ნაკლები დაუხვდა გაზაფხულს.

ნეტავ ადმიანს ცოტა ხნით მაინც შეეძლოს ბალახივით სამზეოზე დაბრუნება და ახლობელთა ნუგეში!

სახარებაში წერია :“ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოსო“.

დავით ლეონიძე იმ დიდი ხის ერთი პატარა ნაყოფი გახლდათ, „მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ“ ლიონიძე რომ ერქვა სახელად.

კარგი ქართველობა, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული მემკვიდრეობით ერგო წილად...

და დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში ერთი ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, მაგრამ საოცარი, სათნო და კეთილი გულის ექიმი დავით ლეონიძე, ბატონი დავითი, როგორც მას დიდი თუ პატარა უწოდებდა.

ამბობდნენ, ქუდბედიანი დაიბადაო!

მართალია თუ არა, არავინ იცის, მაგრამ ვისაც მასთან ოდესმე ურთიერთობა ჰქონია, ვისაც ოდესმე მის ჭერქვეშ ღამე გაუთევია და მისი მადლიანი მარჯვენა შეჰხებია, თავად ყოფილა ნამდვილი ქუდბედიანი.

და მაინც, ვინ იყოო?- იკითხავს ვინმე.

-იყო ექიმი, რომელმაც პირუთვნელად და შეუბღალავად ატარა ეს სახელი მთელი ცხოვრების მანძილზე. 10 წელი გერმანიაში ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ბევრი რამ შემატა მის გამოცდილებას, სამშობლოში დაბრუნებული კი 45 წელი ემსახურა თავის ერსა და ქვეყანას.

საოცრად უყვარდა ადამიანი. ბავშვებს, როგორც მიწიერ ანგელოზებს, ისე ეთაყვენებოდა და ვინ იცის, რამდენი ღამე გაუთენებია თეთრად პატარას სარეცელთან, რამდენი დარდი შეუმსუბუქებია პაციენტის მშობლისთვის?!

ის იმედიც იყო, ექიმიც, მეგობარიც, მამაც და ბაბუაც ყოველი ავადმყოფისათვის.

ის იყო ექიმი, რომელმაც ქათქათა ხალათი ისე სპეტაკად ჩაიტანა სამარეში, რომ ოდნავი ლაქაც კი არ მოსცხებია სადმე!

ბევრ ადამიანს არ ღირსებია ამდენი ცრემლი!

ეს ცრემლი მადლიერი პაციენტების, მათი შვილების, მეგობრების, მეზობლების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების ალალი ცრემლი გახლდათ, სამარემდე რომ მიაცილებდნენ საყვარელ ადამიანს და ხვდებოდნენ, რომ მათი მოამაგე მშვიდი სახით სამუდამოდ ტოვებდა მათ.

თურმე როგორ ყვარებია ყველას! მის წილ ადგილას გულში დიდი სევდა ჩაბუდებულა და სამწუხაროდ, მალევე მიმხვდარან, რომ ბატონი დავითი აღარაა!

არაჩვეულებრივი მამა იყო... მამა, რომლის მსგავს მამობას ვერ დაიკვეხნის ბევრი.

შვილებისთვის ცხოვრობდა და შვილებზე გადაგებული გადავიდა ზეციურ სამყაროში.

ნუ გეშინიათ, მე იმ ქვეყნიდანაც თქვენთვის ვილოცებო! – ასე დაუბარა შთამომავლებს.

„მამას ვფიცავარო“, – იფიცებდნენ შვილები და ეს ნიშნავდა, რომ მათ



სიმართლეში ეჭვი აღარ უნდა შეეპარვოდათ.

ასეთ მამას ტყუილზე დაფიცებას ვინ აკადრებდა?! მის შვილებს ბედნიერებად ისიც ეყოფათ, რომ ასეთი მამა ჰყავდათ!

მეუღლე?! - მეუღლეც არაჩვეულებრივი გახლდათ. სამზეოზე გრძნობების გამოტანა არ შეიძლება! ერთი კი ცხადია, უღელი შუაზე გატყდა და ახლა მის მეუღლეს საოცრად უჭირს ცალუღელად ცხოვრება.

შვილიშვილები ბატონი დავითის ყველაზე დიდი სისუსტე და სიყვარული, სიხარული და ბედნიერება გახლდათ.

ალბათ, იმიტომ გაჩნდა ამქვეყნად, რომ ასეთი ბაბუა ყოფილიყო მერე.

შენ გენაცვალოს შენი ბაბუაო! - რომ იტყოდა, გულს ამოატანდა ხოლმე სიტყვებს და სათუთად უნაწილებდა ხუთივე მათგანს. ახლა ბაბუის სახელზე ორი დავითი დადის სამზეოზე და ღმერთმა ქნას, პირნათლად ეტარებინოთ ამ დიდი კაცის დიდი სახელი!

დიდი გატაცებაც ჰქონდა ბატონ დავითს! ნადირობა და თევზაობა უყვარდა უზომოდ.

ბუნებაში გასულს თითქოს ყველაფერი ავიწყდებოდა და ნადირობისა და თევზაობის ჟინით

აღტაცებული პატარა ბიჭივით გადაივლიდა ძნელადსავალ გზებსა და მთებს.

შვილსა და შვილის მეგობრებს მოღლიდა, თვითონ კი წელში გასწორებული, მოხდენილად მაღლობზე მდგარი, ცერზე მიმინო დასმულ ძველ ქართველს მოგაგონებდათ.

ავადმყოფობაშემოპარული მაინც თევზაობდა, თუმცა წუხდა, ვაითუ სანადიროდ ვეღარ წავიდეო!

აღარც წასულა!...

ცოტა ვინმემ თუ იცის,რომ ბატონი დავითი ხატავდა. ხატავდა უბრალოდ, მაგრამ გულში- ჩამწვდომად, მერე ინახავდა მაგიდის უჯრაში და ძნელად თუ გამოიტანდა სამსჯავროზე.

თითოეულ ნახატში მისი სულის სიმშვენიერე და სიკეთე ჩაბუდებულა.

ბატონმა დავითმა ისეთი მოკრძალებული შემოქმედება დატოვა,როგორიც თვითონ იყო, უპრეტენზიო და უბრალო!

და მაინც, თუკი ვინმე ისევ იკითხავს, ვინ იყო დავით ლეონიძეო?! მოკრძალებით შეიძლება, ვთქათ, რომ ის იყო კაცი, რომელიც მართლაც დააკლდა ქალაქს!

დიდი ადამიანები მოდიან, მაგრამ არ მიდიანო!

ბატონი დავითი კი არ წავიდა, უბრალოდ, მან ერთი წლის წინ მარადისობაში გადაინაცვლა!

*რედაქცია*

# ადამიანის სქესის მეორადი დეტერმინაციის გენეტიკური ასპექტები

ადამიანის სქესის დეტერმინაცია პირველადად არის დამოკიდებული სასქესო ქრომოსომებში მოთავსებულ მემკვიდრულ ინფორმაციაზე და, აგრეთვე, აუტოსომურ გენებზე, რომლებიც აკონტროლებენ საკვერცხეების და სათესლეების განვითარებას.

ექვსი კვირის ემბრიონის გონადები იწყებენ სქესის სათანადო დიფერენციაციას. ამ პროცესზე მეორადად მოქმედებენ ის ჰორმონები, რომლებსაც ამ დროს უკვე გამოყოფენ ისინი.

განვითარების ადრეულ სტადიაზე ემბრიონს გააჩნია ინდეფერენტული გონადები და მისი გამომყოფი სისტემა წარმოდგენილია ვოლფისა და მიულერის არხებით (პირველადი თირკმელი). მდედრობითი სქესის ემბრიონებში მიულერის არხებიდან ვითარდება საშვილოსნო, საშვილოსნოს მილები, საშოს ზედა ნაწილი. ვოლფის არხები კი ატროფირდებიან. მამრობითი სქესის ემბრიონებში კი ატროფირდება მიულერის არხები, ვოლფის სადინარებიდან კი ვითარდებიან სათესლე არხები და ბუშტუკები. გარეგანი სასქესო ორგანოები ხუთი კვირის მამრობით ემბრიონში არ არიან დიფერენცირებული და აგებულებით ახლოს არიან მდედრობით სქესთან.

მამრობითი სქესის ფენოტიპის დეტერმინაცია დამოკიდებულია ტესტოსტერონზე და ანტიმიულეროვან ჰორმონზე. AMH–ის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს მდედრობითი ორგანოების განვითარება. ამ ჰორმონის სეკრეცია იწყება ემბრიონალური განვითარების მეშვიდე თვიდან და გრძელდება პუბერტატულ ასაკამდე. მას აკონტროლებს სპეციფიური გენი GATA4, რომელიც წარმოადგენს ტრანსკრიპციის რეგულაციის ფაქტორს. პუბერტატულ ასაკში AMH-ის გენის ექსპრესია ქვეითდება და შესაძლებელია იგი შენარჩუნებულ იქნას მოზრდილებში. ვარაუდობენ, რომ იგი მოქმედებს არა მარტო სათასლეების და სპერმატოზოიდების მომწიფებაზე, არამედ ასრულებს სიმსივნური უჯრედების ინჰიბირებასაც. აღნიშნული გენი კარტირებულია მე – 19 ქრომოსომის მოკლე მხარში. ის შიეცავს 5 ეკზონს, რომლებიც აკოდირებენ სპეციფიურ გლიკოპროტეინს, რომელიც შედგება 560 ამინომჟავისგან. ამ გენის პრომოტორს გააჩნია SRY (სეხ დეტერმინატიონ რეგიონ – ქრომოსომაში) გამოცნობის საიტი, რომელსაც ის კომპლემენტარულად უერთება.

ტესტოსტერონის კონტროლის ქვეშ კი მეორადი დიფერენცირების დროს ვოლფის არხებიდან ვითარდება თესლგამომტანი სადინარები და ეპიდიდიმისი. შარდსასქესო სინუსში ტესტოსტერონი გარდაიქმნება 5- ა- დეჰიდროსტერონად, რომელიც აკონტროლებს გარეგანი სასქესო ორგანოების და პროსტატის განვითარებას. ორივე ჰორმონი მოქმედებს არა მარტო ადგილობრივად, არამედ განაპირობებს ცენტრალური ნერვული სისტემის, შინაგანი ორგანოების და ფენოტიპის სასქესო დიმორმიზმს. ანდროგენების ბიოსინთეზის დეფიციტი იწვევს გადახრებს მამრობით ფენოტიპში – ჰიპოსპადიიდან კრიპტორქიზმამდე ან გამოხატულ მდედრობით ფენოტიპამდე.

მამრობითითი სქესის ნორმალური განვითარებისთვის საჭიროა ფუნქციონირებადი ანდროგენული რეცეპტორები. AR ლოკალიზებულია X-ქრომოსომის ქ-11 ლოკისში. ამ ლოკუსის რვა ეკზონში აღმოჩენილია 200-ზე მეტი წერტილოვანი მუტაცია.

ტესტოსტერონის ბიოსინთეზის აქტივაცია მიმდინარეობს ტრანსკრიპციული აქტივატორის მიერ, რომლის გენი მოთავსებულია მე-9 ქრომოსომის გრძელ მხარში.

ამის გარდა, ადამიანის სქესის მეორადი დიფერენციაცია დამოკიდებულია ესტროგენებზეც. ესტროგენების დეფიციტი ან მათი რეცეპტორების “გათიშვა” იწვევს საშვილოსნოს და საკვერცხეების ჰიპოპლაზიას და უნაყოფობას, მამრებში კი ძვლების და სპერმატოზოიდების განვითარების შეფერხებას.

მამრობითი სქესის ფენოტიპისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თირკელზედა ჯირკვლების ანდროგენების სეკრეციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვითარდება საპირისპირო სქესის მეორადი ნიშნები. სქესის დეტერმინაციაში მონაწილეობს ძალიან ბევრი გენი: სათესლე და პროსტატა – 1200 გენი, საკვერცხე – 500 გენი, საშვილოსნო – 1800 გენი. ამ გენთა შორის ყალიბდება რთული ურთიერთქმედება და ურთეორთდამოკიდებულება, რაც საბოლოოდ ხდება სქესის დიფერენცირების რამოდენიმე დონის მახასიათებელი:

გენეტიკურ – გენოტიპური,
გონადური,
გამეტური,
ჰორმონალური,
მორფოლოგიური,
ფენოტიპური (სომატური),
საპასპორტო,
ფსიქიკური,
სასქესო თვითიდენტიფიკაცია,
სქესობრივი როლი და პარტნიორის მოძებნა.

*მანანა ჭიკაშვილი,*
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



# წერილი პარლამენტს

***საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ო. თოიძეს***

***მედიკოსთა პროფესიული ასოციაციების სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გ. ლობჟანიძეს***

***საზოგადოებრივ ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ადმინისტრირების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ქ-ნ თ. ჭანდაშვილს***

პირველ რიგში მადლობა მინდა მოგიხადოთ, რათა შესაძლებლობა მომეცით ა.წ. 11 თებერვალს 16.00 საქართველოს პარლამენტში, ილია ჭავჭავაძის სახ. დარბაზში მონაწილეობა მიმეღო საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის №4 2009წ 3 დეკემბრის და №6 2009 წლის 3 დეკემბრის და №6 2009 წლის 25 დეკემბრის განკარგულებათა განხილვაში.

ამ დღეს მე დავაყენე საკითხები, რომლებიც ეხებოდა:

ექიმთა და ექთანთა პროფესიონალიზმის ზრდის ტემპს.

მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების გაქრობას და მისი აუცილებელ აღდგენას (ჯერ კიდევ სანამ დაგვიანებული არ არის და საქართველოში გვყავს მეცნიერებათა დოქტორები, ვინაიდან ისინი აუცილებელია ამ ხარისხის მინიჭებისათვის სხვადასხვა დარგობრივი საბჭოებისათვის).

პრობლემათა გადაჭრის აუცილებლობას:

პერინატოლოგიაში (მისი როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგობრივი მიდგომა).

სპორტში სამედიცინო მეთვალყურების ახალი მოდელის აუცილებლობას.

ბაგა-ბაღებსა და სკოლებში პედიატრის აუცილებლობას და ა.შ.

ევრომეცნიერების მსოფლიო კონგრესებზე გუნდური პრინციპით მონაწილეობის აუცილებლობაზე.

ამჟამად მე შევეხები კონკრეტულ საკითხს სპორტთან დაკავშირებით:

სპორტის განვითარება დღეისათვის საქართველოში მაღალი ტემპით მიმდინარეობს და ეს რა თქმა უნდა მისასალმებელია. დღეისათვის ჩაბმულია დაახლოებით 200000-ზე მეტი სპორტსმენი, უმეტესობა რა თქმა უნდა მოყვარულია. აქედან გამომდინარე არის უამრავი ტრავმები და საუბედუროდ უეცარი სიკვდილის შემთხვევებიც (თუმცა ამ უკანასკნელის ზუსტი სტატისტიკა დღეისათვის არ არსებობს). პრობლემებია სპორტის დანებების შემდეგაც, რაც ჩემი აზრით მისახედია. ყოველ სპორტსმენში არსებული დაავადებების პრევენცია ერთ-ერთ სტრატეგიულ გეგმად მიმაჩნია. ამიტომ, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს შექმნილი პროექტი ჯანმრთელ თაობაზე ზრუნვა – „ჯთზ" და მოდელი რომლის განხორციელების აუცილებლობაზე საუბარი აუცილებელია. მისი შექმნის შესახებ კონკრეტულ ნაბიჯებსაც ვდგამთ; სწორედ აქ არის საჭირო ხელისუფლების მხარდაჭერა მისი დროული განხორციელებისათვის.

მნიშვნელოვანია სპორტსმენთა სადაზღვევო სისტემის ამოქმედება.

ღიაა საკითხი ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვის შესახებ, რომლებიც სპორტულ სექციებშია ჩართული (ვინ აგებს პასუხს სპორტსკოლაში ან შეჯიბრის ან ვარჯიშის დროს ბავშვის უეცარი სიკვდილისას):

– მშობელი, რომელმაც გამოუკვლეველი ბავშვი ან მოზარდი მიიყვანა სავარჯიშოდ;

– სპორტსკოლის დირექცია ან მშობელი, რომელმაც ზერელედ გამოკვლეული ბავშვი მიიღო და ავარჯიშებს შესაბამისი დატვირთვით; თუ სხვა, რომელმაც ვერ არეგულირა ბავშვის სიცოცხლეზე ზრუნვა.

ეს რთული საკითხებია და იგი იურიდიული დამუშავების გარეშე ვერ გადაწყდება გლობალურად.

ზემო ჩამოთვლილი არსებული საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელია საკითხთა გლობალურ დამუშავებაში თქვენთან ერთად ჩაერთოს: პარლამენტის სპორტის, განათლების, მეცნიერების და იურიდიული კომიტეტი; სასურველია სპორტის დეპარტამენტის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროს მონაწილეობა. სასურველია მათში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დარგობრივ ასოციაციათა მონაწილეობა. ზემო ჩამოთვლილ საკითხთა განხილვა ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია. ვინაიდან დღეისათვის ძირითადად მოდის მზადებები ოლიმპიური ჩემპიონატებისათვის (ზამთრის და ზაფხულის). ასე რომ ძირითადად სპორტში მზადებას III ნაწილად გავყოფდი:

I ნაწილი – სპორტში ჩაბმა და ვარჯიში გარკვეულ შედეგებამდე

II ნაწილი – ოლიმპიურ ნაკრებში მონაწილეობა

III ნაწილი – სპორტზე განებების შემდგომი პერიოდი.

(ჩემპიონატების შემდეგ ან აქტიური სპორტიდან წასვლა)

სამივე ნაწილი თუ ეტაპი სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვს და ჩვენი საკითხის დაყენებაც აქეთკენაა მიმართული.

ეს გახლდათ შედარებით ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მოითხოვს სწორედ ამიტომ დროულ და სწორ გადაწყვეტილებებს.

***პატივისცემით,***
***ევრომეცნიერების ეროვნული სექციის თავმჯდომარე,***
***მედ.მეცნ.დოქტორი,***
***პროფესორი, აკადემიკოსი:***
***გ. ჩახუნაშვილი***

***09.03.2010.***







# შეხვედრა პრემიერთან









# საექთნო განათლება საქართველოში - აწმყო და მომავალი

საექთნო საქმე ჯანმრთელობის დაცვის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საქართველოში საექთნო საქმის მოდელი განიხილავდა ექთანს, როგორც ექიმის პირველ საფეხურს. ამან გამოიწვია საექთნო საქმის, როგორც პროფესიის განვითარების შეფერხება. ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად აუცილებელია განისაზღვროს სამედიცინო სფეროში ექიმის - როგორც მკურნალის და ექთნის - როგორც მომვლელის ფუნქცია.

2007 წელს საქართველოში მოხდა უმაღლესი განათლების რეფორმა, რამაც შემოიტანა პროფესიული განათლების ცნება. 2007 წლის კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განსაზღვრავს 2 ტიპის პროფესიულ განათლებას: სახელობო განათლება და უმაღლესი პროფესიული განათლება (უპგ). უპგ განეკუთვნება უმაღლეს განათლებას. სახელობო განათლების მიზანია პრაქტიკული და არა აკადემიური უნარ-ჩვევების დაუფლება.

უკანსაკნელი 2-3 წლის განმავლობაში განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ გატარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები, რაც საექთნო განათლებასთან მიმართებაში გამოიხატა ორი დონის საექთნო სწავლების შემოღებაში. კერძოდ, ამჟამად ორი ტიპის დაწესებულებაა, რომელიც ამზადებს ექთნებს: უმაღლესი პროფესიული განათლებისა (უპგ) და სახელობო საექთნო განათლების სკოლები (2007 წლიდან).

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით 2007 წლამდე არსებული საშუალო სამედიცინო განათლების სამედიცინო სასწავლებლების (ტექნიკური სკოლა) კურსდამთავრებულები გაუთანაბრდა უმაღლესი პროფესული განათლების დონეს.

სახელობო განათლების მიღება შესაძლებელია არასრული საშუალო განათლების (9 კლასი) შემდეგ 2 წელი სახელობო სასწავლებელში სწავლით. სწავლის დასაწყებად საჭირო არ არის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. კურსდამთავრებულს ენიჭება სტატუსი 'მედ.და" - ექთნის ასისტენტი და მისი მოვალეობაა პაციენტის საბაზისო მოვლა. ძალიან შეზღუდულია მანიპულაციების ჩატარების უფლება, მაგ. ინექციებიდან მხოლოდ კანქვეშა ინექციის (ინსულინი) გაკეთების უფლება მიენიჭა.

უმაღლესი პროფესიული განათლების მისაღებად აუცილებელია სრული ზოგადი განათლება (12 კლასი) და სწავლების 3 წელი. უმაღლესი პროფესიული განათლების მისაღებად საჭიროა გამარტივებული ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება.

სკოლის სრული კურსის გავლის გარეშე სახელობო განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე გადასვლა შეუძლებელია. საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით პიროვნებამ ჯერ უნდა ჩააბაროს მე-12 კლასის გამოცდა და შემდეგ გამარტივებული ერთიანი ეროვნული გამოცდა. განთლების და მეცნიერების სამინისტრო ამაჟამად ამუშავებს რამოდენიმე ერთობლივ სქემას, რომ საშუალო განათლების მიღება შესაძლებელი იყოს სახელობო განათლების პარალელურად, როგორც ეს იყო საშუალო სამედიცინო განათლების არსებობის დროს.

საექთნო უმაღლესი პროფესიული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2007 წელს დაიწყო და ამჟამად აქ 400-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, 100 ექთანი დაამთავრებს მას 2010 წელს. პროგრამა ტარდება თსსუ-ს 'პროფესიული უმაღლესი მედიცინისა და ფარმაციის" სკოლაში და განვითარდა ჰოლანდიის ხელშეწყობით. ეს არის 3 წლიანი მოდულების პროგრამა, რომელიც იძლევა უმაღლესი პროფესიული განათლების სერტიფიკატს 180 კრედიტისათვის (ევრო კრედიტის ტრანსფერის სისტემა). 2010-2011 სასწავლო წელს იხსნება როტერდამის ბებიაქალთა აკადემიასთან ერთად მომზადებული ბებიაქალთა საგანმანათლებლო პროგრამა. 2009 წელს კიდევ ხუთმა უნივერსიტეტმა დაიწყო ექთნების უმაღლესი პროფესიული განათლების განხორციელება, საერთო ჯამში 245 სტუდენტით.

2007 წელს საქართველოში 113 საშუალო სამედიცინო სასწავლებელი იყო რეგისტრირებული. საშუალო სამედიცინო სასწავლებლების აკრედიტაცია არ ხდებოდა. მისაღები კონტინგენტის სახეობა, მიღების ფორმატი და სასწავლო პროგრამების შინაარსი სასწავლებლებში განსხვავებული იყო. საშუალო სამედიცინო სასწავლებლების სასწავლო პროგრამები საექიმო პროგრამების ძალიან შეზღუდულ ვარიანტს წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საექთნო კადრის განათლებას საექიმო კადრი აწარმოებდა და ახდენს დღესაც, რაც გამოწვეულია ქვეყანაში პედაგოგიკის უფლების მქონე უმაღლესი განათლების მქონე ექთნების არარსებობით.

დღესაც საექთნო საქმის პედაგოგები ძირითადად ექიმები არიან, რომელთათვისაც პრაქტიკული გამოცდილების არარსებობის გამო საკმაოდ რთულია საექთნო საქმის ძირითადი საკითხების სწავლება. სწავლება ხდება უპირატესად ექიმის პერსპექტივაზე ფოკუსირებით, შედეგად ვიღებთ იმას, რომ კურსდამთავრებული ექთნები უფრო მეტად არიან ექიმის თანაშემწეები, ვიდრე საკუთარი კომპეტენციის მცოდნე პროფესიონალები.

ქართულ ენაზე თითქმის არ მოიპოვება მნიშვნელოვანი ლიტერატურა საექთნო საქმის შესახებ. ახალი თაობის სტუდენტები, რომელთაც მომავალ პროფესიად აირჩიეს საექთნო საქმე, საკმარისად კარგად ვერ ფლობენ უცხო ენებს (რუსული, ინგლისური), რომ ისწავლონ პროფესიული სასწავლო მასალები ამ უცხო ენაზე. ექთნების უმაღლესი პროფესიული განათლებისა და სახელობო განათლების პროგრამების მასწავლებლების პროფესიული გამოცდილება მოითხოვს განახლებას და რეორიენტაციას, რათა სწავლების დონე შეესაბამებოდეს მოთხოვნებს.

ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN - International Council of Nurses) განმარტებით 'ექთანი ანხორციელებს ყველა ასაკის ინდივიდის, ოჯახების, ჯგუფებისა და საზოგადოების, დაავადებულთა და კარგად მყოფთა ავტონომიურ და კოლაბორაციულ მოვლას ყველა სიტუაციაში. ექთნობა მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობას, დაავადებების პრევენციას, დაავადებული, უუნარო და მომაკვდავი ადამიანების მოვლას. საექთნო საქმის მნიშვნელოვანი ფუნქციაა დაცვა/ადვოკატირება, უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა, კვლევა, ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირება, ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტი და განათლება".

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება საჭიროებს საფუძვლიან, მაღალი დონის განათლებას, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება მენეჯერულ და საგანმანათლებლო აქტივობებს. ქვეყანაში საექთნო საქმის შემდგომი განვითარებისათვის და აქედან გამომდინარე საექთნო მოვლის ხარისხის გაზრდის გზით საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აქტუალურია უმაღლესი საექთნო განათლების სისტემის დანერგვა. უმაღლესი განათლების მქონე ექთნებს აქვთ დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ბაკალავრის ხარისხის მქონე ექთანს შეუძლია აწარმოოს პაციენტის/მომხმარებლის სრული საექთნო შეფასება, საექთნო მოვლის დაგეგმვა და განხორციელება, შედეგების შეფასება და მონიტორინგი. ბაკალავრ ექთანს აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის შესაძლებლობა, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის არის საქართველში საექთნო პროფესიის განვითარებისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც დანერგილია უმაღლესი საექთნო განათლება, ასევე არსებობს უფრო დაბალი დონის სამედიცინო განათლებაც და კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნულია.

ევრო პარლამენტის დირექტივა 2005/36/ და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის "პროფესიული კვალიფიკაციის ცნობისა და შესწორებების აქტის" მიხედვით საექთნო საქმიანობისათვის მაღალი მოთხოვნები არის წაყენებული. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო 2009 გვ. 10) გამოაქვეყნა ექთნის ან ბებიაქალის საწყისი მომზადების გლობალური სტანდარტები, სადაც გაცხადებულია, რომ საექთნო საქმის მომავალი ითვალისწინებს მომზადებას პროფესიონალურ, პირველხარისხოვან დონეზე უნივერსიტეტში, ანუ საექთნო პროფესიის მისაღებად აუცილებელია საბაკალავრო პროგრამის გავლა უნივერსიტეტში.

საექთნო საქმის ბაკალავრის ხარისხის დანერგვას საქართველოში არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივ არ არის შესაძლებელი, რომ მთელ პერსონალს, რომელიც მონაწილეობს პაციენტის მოვლაში, ჰქონდეს უმაღლესი განათლება, ერთზე მეტი დონის ექთნებია საჭირო. ამის შედეგად ზუსტად განისაზღვრება განსხვავება ექთნებს, მათ განათლებას, როლსა და პასუხისმგებლობებს შორის.

*ქ. გარსევანიშვილი*














## საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
## Georgian Children's Cardiologists Association

CAC

# SOS!

### დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

**საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:**

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთხელ ბავშვისათვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 2,5 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

„...... ...................." - ა

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ა. ...... ჩაჩუნაშვილი

ორთოპედიული კორსეტი (ხერხემლის მრუდეებისათვის) ხერხემლის ესპანდერი

- ხერხემლის გამრუდების პროფილაქტიკისათვის;
- დაღლილობის მოხსნისათვის;
- რეკომენდირებულია ყველასათვის 6-დან 25 წლამდე.

**ესპანდერის დანიშნულება:**

სკოლამდელი ბავშვებისათვის ხერხემლის პროფილაქტიკისათვის;

დაღლილობის მოსახსნელად.

**ჩაცმის წესი**

1. ესპანდერი უნდა იყოს მორგებული თეთრეულის ზემოთ.

2. მარყუჟებში ხელების გაყრის შემდეგ გაასწორეთ რეზინები მხრებზე.

3. ესპანდერი ითვლება სწორედ მორგებულად, თუ ჩაცმის შემდეგ მომხმარებელი გრძნობს რეზინის დაჭიმვის ძალას.

ექსპლუატაციის ვადა 6 თვეა.

ესპანდერის ტარების დროს თქვენ დაზღვეული ხართ მოხრილობისგან.

ესპანდერი მიზანშეწონილია ბავშვებისათვის 6-14 წლამდე.

მოზრდილებისათვის, იმ პიროვნებისათვის, ვისი სამსახურიც მჯდომიარე ხასიათს ატარებს.

ესპანდერი მუდმივად აიძულებს ადამიანს გაიმართოს ხერხემალში და გაშალოს მხრები.

ესპანდერი მოკლე ხანში გახდება თქვენი განუყრელი მეგობარი.

(დამზადებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეწარმეთა დასაქმების კავშირის" მიერ.)

## G I C

საქართველო-გერმანიის ერთობლივი შპს GIC არის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ბიზნეს საბჭოს წევრი 2005 წლის აპრილიდან. აღნიშნული კომპანიის საქმიანობის მიმართულებებია:

**სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების დამზადება და დისტრიბუცია**

- სადერატიზაციო;
- სადეზინფექციო;
- სადეზინსექციო;
- საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო.

# სპორტსმენებისათვის აუცილებელია:

## „ ი ვ ე რ ი უ ლ ი "

### ნატურალური, გამამხნევებელი, გაზიანი სასმელი

უალკოჰოლო, ვიტამინიზირებული, გაზიანი სასმელი „ივერიული" დამზადებულია უნიკალური თვისებების მქონე ქართული (კავკასიური) ფუტკრის პროდუქტებით და ყურძნის ნაყენის გამოყენებით.

სასმელში ოპტიმალური თანაფარდობითაა შერწყმული ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთიერებები – ამინომჟავები, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები.

ორიგინალური რეცეპტურა, რომელიც ეფუძნება ქართულ ხალხურ სამედიცინო სიბრძნეს, განაპირობებს სასმელის მაღალ ბიოლოგიურ ღირებულებას და შენახვის ვადის გახანგრძლივებას კონსერვანტების გარეშე. სასმელის მდგრადობა შენარჩუნებულია ნატურალური მცენარეული ნივთიერებით.

სასმელი „ივერიული" გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი. უცხოური და ადგილობრივი მსგავსი პროდუქტებისაგან განსხვავებით არ შეიცავს: ესენციებს, კონსერვანტებს, საღებავებს, შაქრის შემცვლელს.




სასმელის შემადგენლობა უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმში, ამინომჟავებისა და ვიტამინების დეფიციტის შევსებას. ხსნის ფიზიკურ და გონებრივ დაღლილობას. აუმჯობესებს გულის მუშაობას, კვებავს ტვინს, აწესრიგებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესს, მოზარდებში ხელს უწყობს ზრდის პროცესის გააქტიურებას. სპირტიანი სასმელების მიღების შემდეგ ორგანიზმში ხდება ალკოჰოლის დეზინტოქსიკაცია. ამინომჟავებით და ვიტამინებით გამდიდრებულმა სასმელმა „ივერიულმა" მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სპორტსმენთა მომზადების სფეროში. სპორტსმენთა მიერ ამ გამამხნევებელი სასმელის სისტემატურად მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წვრთნისა და ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, ორგანიზმში აღდგენითი პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

„ივერიული" რეკომენდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის და სპორტის დეპარტამენტის მიერ.




## ერთერთი ქართული ქართული პრეპარატი




*GA-40* წარმოადგენს პოლიპეპტიდების კომპლექს რომელიც მიღებულია ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი მცენარეული ნედლეულისაგან.

*GA-40* გამოირჩევა:

* ორგანიზმზე უსაფრთხო მოქმედებით

* ორგანიზმში არსებულ სიმსივნურ წარმონაქმნებზე ორმაგი მოქმედებით: პირდაპირ – მანეკროზირებელი და არა პირდაპირი – ანტისიმსივნური იმუნიტეტის აქტივაციით.

* იმუნოკორექციის უნარით, რაც განსაზღვრავს მის ფართო სპექტრით წარმატებით გამოყენებას სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ.

რეგისტრაცია *MP* №003008

პატენტი *P* 2256

## იმუნორეაბილიტაციისათვის საკონსულტაციოდ შეგიძლიათ მიმართოთ:

| ბავშვთათვის | მოზრდილთათვის |
|---|---|
| თ.ს.ს.უ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის იმუნოგენეტიკური პროგნოზირების ლაბორატორია ტელ: 52-80-74 | საკონსულტაციო-სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი. ტელ.: 877 43-44-94 |

მთავარი რედაქტორი - გ.ჩახუნაშვილი
მოადგილე - თ. მიქელაძე, გ.ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: მ. ნანობაშვილი, ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, გ. არველაძე, ქ. ნეფარიძე, ნ. მარინაშვილი, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი

მისამართი: ლუბლიანას ქ. 21 ტელ.: 52-80-74 www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება